საიჯარო ხელშეკრულება

თბილისი 01 [illegible] 2013 წ.

სააქციო საზოგადოება "გლდანი" (შემდგომში "მეიჯარე") დირექტორის რ. რაქვიაშვილის სახით ერთის მხრივ და მეორეს მხრივ [illegible]

(შემდგომში "მოიჯარე") ვიხელმძღვანელეთ რა საქართველოს "კანონით იჯარის შესახებ" ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

I ხელშეკრულების საგანი

1.1. ამ ხელშეკრულების თანახმად მეიჯარე გადასცემს მოიჯარეს სააქციო საზოგადოების [illegible] 500მ² [illegible] №6

1.2.იჯარის ხანგრძლივობა განისაზღვრება [illegible] ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან. საიჯარო ვადის გასვლის შემდეგ ხელშეკრულების გაგრძელება შეიძლება ყოველწლიურად მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

II საიჯარო ქონება, გადახდის ვადები და პირობები

2.1. საიჯარო ქირის ოდენობა შეადგენს 1700 [illegible] ექვივალენტს ლარებში ყოველთვიურად. [illegible]

2.2. მოიჯარემ თვეში უნდა გადაიხადოს ქირა მომდევნოპ თვის 05 რიცხვამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველ გადაცილებულ დღეზე დაერიცხება ქირის 0,5% საურავი.

2.3. ქირის გადახდა უნდა დაიწყოს საიჯარო ობიექტის ამოქმედების ანუ კომერციული საქმიანობის დაწყების დღიდან.

2.4. წყლით, ელ. ენერგიუით, ტელეფონით სარგებლობის და სხვა კომუნალური მომსახურების ხარჯებს იხდის მოიჯარე.

III მხარეთა უფლება-მოვალეობანი

3.1. მეიჯარეს უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დაათვალიეროს იჯარით გაცემული ქონების მდგომარეობა.

3.2 გააუქმოს ხელშეკრულება ვადამდე ადრე თუ მოიჯარე 45 დღრის განმავლობაში არ გადაიხდის საიჯარო ქირას.

3.3 მეიჯარეს უფლება აქვს მოითხოვოს ვადაზე ადრე იჯარით გაცემული ქონების დაბრუნება ნებისმიერი უკანონო მფლობელობიდან (ფართის რეკონსტრუქცია, შენობა ნაგებობის დაზიანება მოიჯარის მიზეზით და სხვა).

3.4 მოიჯარეს უფლება აქვს არსებული ნორმების დაცვით დაამონტაჟოს აღებულ ფართში აუცილებელი ტექნიკური და სხვა მოწყობილობა, რაც მის საქმიანობასთან არის დაკავშირებული, ხოლო ხელშეკრულების დამთავრების ან ვადამდე მოშლის შემთხვევაში მოხსნას ისინი.

3.5 მოიჯარე ვალდებულია მოუაროს იჯარით აღებულ ქონებას, შეინახოს ის უსაფრთხოების ტექნიკის, ხანძარსაწინააღმდეგო და სანიტარული ნორმების დაცვით. აღმოფხვრას საკუთარი სახსრებით ახლადწარმოშობილი ყველა დაზიანება.

3.6 იჯარით აღებული ქონების გირავნობა და იპოთეკით დატვირთვა ასვვე მესამე პირზე ქირით გადაცემა ფარული შეთანხმების საფუძველზეც კი დაუშვებელია.

IV. ფორს-მაჟორი

4.1 მხარეები თავისუფლდებიან ამ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო პასუხისმგებლობისაგან, თუ ასეთი გამოწვეულია ისეთი გარემოებებით რაც მათ კონტროლს არ ქვემდებარება.

V დავები

5.1 ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა მხარეთა შორის წყდება მოლაპარკების გზით. შეუთანხმებლობისას თითოეულ მხარეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს.

VI დასკვნითი დებულება

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან.

6.2. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა. ერთი ეგზემპლიარი ინახება მეიჯარესთან, მეორე მოიჯარესთან.

VII მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

მეიჯარე	მოიჯარე
სს „გლდანი“	შ.პ.ს. „გემოს იმპერია“
თბილისი, ქერჩის ქ. №6	
საიდენტიფ. კოდი 209439099	ს/კ 400095099
სს „პროკრედიტ ბანკი“	
თბილისის სადგურის ფილიალი	
ანგ. GE37PC0113600100030051	
დირექტორი:	დირექტორი:
რ. რაქვიაშვილი	